2023 წ.

ლამარა ჭყონია

საოპერო მომღერალი ლამარა ჭყონია დაიბადა ბათუმში 1930 წლის 27 დეკემბერს. 1951 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული „ნიჭიერთა ათწლედი“. 1956 წელს დაასრულა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი გულიკო გოგიჩაძის კლასი. მანამდე მისი პედაგოგი იყო ცნობილი საოპერო მომღერალი ვალერიან ქაშაკაშვილი.

1956-1960 წლებში ლ. ჭყონია ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. 1960-1968 წლებში კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ხოლო 1968-1992 წლებში კი თბილისის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგი და პროფესორი გახლდათ. 1995 წლიდან მოღვაწეობა გააგრძელა ესპანეთში.

ლ. ჭყონია გამოირჩევა ლამაზი ტემბრით, ლირიკულ-კოლორიტული სოპრანოთი, შესრულების სრულყოფილი ვოკალური ტექნიკით, მომხიბლვლელი სცენიური გარეგნობით და თითოეული საოპერო პარტიის უზადო შესრულებით.

ლ. ჭყონია მონაწილეობას იღებდა მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში. იგი არის პრაღის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის „პრაღის გაზაფხულის“ (1960 წ.), სოფიის საერთაშორისო კონკურსის (1963 წ.) მე-3 პრემიის ლაურეატი, მოსკოვის მ. გლინკას სახელობის საერთაშორისო კონკურსის (1960 წ.) ლაურეატი, ტოკიოს „მადამ ბატერფლაის“ საერთაშორისო კონკურსის გრანპრის მფლობელი (1967 წ.). მისი აღზრდილები არიან მისივე ქალიშვილები - ცნობილი მომღერლები, მრავალი კონკურსის ლაურეატები ნატო და ეთერ ჭყონიები.

მრავალფეროვანია ლამარა ჭყონიას რეპერტუარი. იგი მღეროდა, როგორც ქართველ, რუს და ევროპელი კომპოზიტორების საოპერო პარტიებს. აღსანიშნავია მისი შემოქმედებიდან - მარო, ეთერი, მარეხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“), ჩიო-ჩიო სანი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა“), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი“), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), მანონ (მასნეს „მანონლესკო“), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგგინი“), მარფა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“) და სხვა. წარმატებით მოღვაწეობდა საესტრადო-საკონცერტო სფეროშიც. ასრულებდა ალიაბიევის, ვარლამოვის, გურილიორის რომანსებს. გასტროლებით მოვლილი აქვს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები - რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვალია, იაპონია და სხვა ქვეყნები.

გადაღებულია დოკუმენტურ ფილმში „მღერის ლამარა ჭყონია“ 1973 წ. ცნობილ მხატვრებს მერაბ ბერძენიშვილს, მიშა (მორდეხაი) ჯანაშვილს და ალექსი ოტრეშკოს შექმნილი აქვთ მისი ფერწერული პორტრეტები.

ლ. ჭყონია არის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1970 წ.), უკრაინის სსრ დამსახურებული და სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (1976 წ.) დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, თამარ მეფის ორდენითა და პრეზიდენტის ბრჭყინვალების ორდენით.

ლამარა ჭყონიას პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორის ვ. ბონის დეპეშა დიმიტრი მჭედლიძისადმი ლამარა ჭყონიას უნგრეთში გასტროლებზე წასვლასთან დაკავშირებთ.
   1969 წ. 21 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

2. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის დეპეშა ვ. ბონისადმი ლ. ჭყონიას უნგრეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 24 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

3. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი ლ. ჭყონიას უნგრეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსადმი ლ. ჭყონიას უნგრეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორის ვ. ბონის დეპეშა დიმიტრი მჭედლიძისადმი ლ. ჭყონიას უნგრეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 15 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

6. სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორის ვ. ბონის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილისადმი ლ. ჭყონიასა და მარინე იაშვილის რუმინეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 16 სექტემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს - ვ. ბონი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის ბრძანება ლ. ჭყონიას მოსკოვში მივლინების შესახებ.
   1969 წ. 17 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორის ვ. ბონის დეპეშა ვ. კუბრავასადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტროლების შესახებ.
   1969 წ. 18 ნოემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

9. საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. პოპოვის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილისადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტროლების შესახებ.

1969 წ. 24 ნოემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს - ვ. პოპოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტროლების შესახებ.
    1969 წ. 25 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტროლების შესახებ.
    1969 წ. 25 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორის ვ. ბონის დეპეშა საქართველოს კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილისადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტროლების შესახებ.
    1969 წ. 29 ნოემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

13. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დ. ჩოგოვაძისადმი ლ. ჭყონიას რუმინეთში გასტოლების შესახებ.
    1969 წ. 1 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

14. ბრძანება ლ. ჭყონიას მოსკოვში მივლინებისა და შემდეგ რუმინეთში გამგზავრების შესახებ.
    1969 წ. 1 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. ლ. ჭყონიას ანკეტა ავტობიოგრაფიით.
    1972 წ. 23 ნოემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. კალამი. 5 გვ.

16. ლ. ჭყონიას კიევისა და თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შესრულებული როლების სია.
    1976 წ. 30 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

17. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციის მიერ გაცემული ლ. ჭყონიას დახასიათება.
    1976 წ. 30 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ორბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ი. ბერიძე, თ. მუშკუდიანი, პ. ყიფშიძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

18. ლ. ჭყონიას პირადი სახიათის წერილი ლია სეხნიაშვილისადმი.
    პირი: მორის ლეკიაშვილი, ეთერ ჭყონია.
    1987 წ. 11 ივლისი. ესპანეთი. ავტოგრაფი. 1 გვ.

19. ლამარა ჭყონიას ანკეტა.
    უთარიღო. თბილისი. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 1 გვ.

20. ლ. ჭყონიას პრესბიულეტენი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. უთარიღო. სტამბური. რუსულ და ინგლისურ ენებზე. 2 ც.